დროება

ეროვნულ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი

№ 100 ხუთშაბათი, 7 მაისი 1909 წ. № 100

გაზეთი «დროება» ხუთათვიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტი-ტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგზისიანი განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე ოთოეულ სადამეს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

წელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხავს. ინაზება ერთის თვით მხოლოდ [illegible] წერილები და მოთხრობები. პირადად [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეშე ღირს 1 მან., ხოლო ხუთაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნ.ომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ტფილისი, 7 მაისი

იძულებული ვართ გაზეთ „ივერიასთან“ პოლემიკა განვაგრძოთ, იძულებული ვართ, რადგან ამ პოლემიკის მეოხებით ეგრედ წოდებულ ზომიერ ელემენტების მრავალი საგულისხმო თვისება ირკვევა და თანდათან ეხდება ფარდა იმ საიდუმლოებას, რომ ჩვენებური ზომიერი ძოღვაწე მუდამ უზომოდ მცონარე და უმოქმედოა. როგორც ვიცით, ჩვენებური ზომიერი მიმართულება ყველგან და ყოველთვის ეროვნულ მიზნებსა და იდეალებზე ლაპარაკობს. ამ მიმართულებას ჰგონია, ვითომც სიტყვები „ეროვნული მიზანი და ეროვნული იდეალი“ მთელ სამოქმედო პროგრამას შეიცავდნენ. ამ პროგრამის წინ წამოყენებას ზომიერნი იმ მოსაზრებით ასაბუთებენ, რომ იგი პრაქტიკულის ხასიათისაა, რომ იმისი განხორციელება ქართველ ერის ხელთ არის. ასე ამბობენ და ასე სწერენ ჩვენი ზომიერები ყოველთვის, მაგრამ რაოდენი სიყალბეა ჩაქსოვილი მათს სიტყვებში, ეს სამაგალითო სიცხადით გამოაჩინეს „ივერიის“ პუბლიცისტებმა თავის უკანასკნელ საპასუხო წერილში ბ-ნ კ. თუმანიშვილის პირით.

„ივერია“ (№ 18) სწერს: „მაგრამ რად უნდა შემოიღოს მთავრობამ თავის ადგილობრივ დაწესებულებებში ქართული ენა, როდესაც მისი შემოღების მოთხოვნა ქართველებისაგან მხოლოდ თეორიული სურვილია და პრაქტიკულ საჭიროებით გამოწვეული არ არის?!“... „რაკი გვინდა ქართული ენა სახელმწიფო დაწესებულებებში შემოიღოს მთავრობამ, ქართულ ენის შემოღების საჭიროება უნდა შეექმნათ ხალხში, ქართულ ენის შემოღების სურვილი უნდა გავაღვიძოთ, უნდა ვუჩვენოთ ხალხს და მთავრობასაც, რომ ქართულ ენის შემოღება შესაძლო არის“. როგორც აქედან სჩანს, „ივერიის“ აზრით, ქართულ ენის **საჭიროება** ადგილობრივ დაწესებულებებში ნამდვილად სრულებითაც არ არსებობს, ეს მხოლოდ თეორიული სურვილია; ქართულ ენის შემოღებას დაწესებულებებში პრაქტიკული საჭიროება არ იწვევს; ამიტომ მთავრობაც რუსულ ენას ხმარობს; „ივერიას“ თავის დანიშნულებად მიაჩნია, შეჰქმნას ხალხში ეს არ არსებული საჭიროება და შემდეგ შუამავლად გაწდეს მთავრობის და ხალხის შუა. როგორც შუამავალი, იგი დაემყარება მთავრობის მისწრაფებას საერთო მშვიდობიანობისადმი, დაამტკიცებს, რომ ქართული ენა შეიძლება იხმაროდეს დაწესებულებებში და ამ ნაირად განახორციელებს ეროვნულს მიზანს.

ასე ფიქრობს და მსჯელობს გაზეთი „ივერია“, რომელიც ისე სიტყვას არ დახარჯავს, თუ არ დაიკვეხა, პრაქტიკულ ნიადაგზე ვდგევარო. პრაქტიკულ ნიადაგით ბაქიობა და არ არსებულ საჭიროების შექმნა, რათა შემდეგ, ე. ი. როცა დღეს „ივერიის“ აზრით არ არსებული საჭიროება ქართულის ენისა შეიქმნება, ფეხი დააჭიროს მთავრობის სიყვარულს მშვიდობიანობისადმი და ქართული ენა შეიტანოს ადგილობრივ დაწესებულებებში! ასეთია ის „პრაქტიკული ნიადაგი“, რომელზედაც ჩვენებურ ზომიერებს უყვართ დგომა. ამ პრაქტიკულ ნიადაგს ისეთი გრძნეული თვისებები აქვს, რომ ცხადზე უცხადეს საჭიროებას არ არსებულ საჭიროებად მოაჩვენებს (ქართული ენის საჭიროება ადგილობრივ დაწესებულებებში), საანბანო ეშმარიტებას, რომელიც ყველას კარგად ესმის, ჯერ დაუმტკიცებელ და საცილობელ პრობლემად აღიარებს (შესაძლებლობა ქართულ ენის ხმარებისა ადგილობრივ დაწესებულებებში), და ოცნების მიერ ნაძალადევად შექმნილ წარმოდგენას საერთო მშვიდობიანობის სურვილის შესახებ კი გადამწყვეტს როლს აკუთვნის. მართალი მოგახსენოთ, ეს „პრაქტიკული ნიადაგი“ კი არა პირწავარდნილ სიყალბის ქსელია. ამ გვარ აზროვნებას პრაქტიკული მხოლოდ იმ მხრივ შეიძლება ეწოდოს, რომ იგი სცდილობს, ქართულ ეროვნების ეხლანდელი ბეჩავი მდგომარეობა ნორმალურად ჩასთვალოს და გაამართლოს იმ მოღვაწეების სამარცხვინო უქნარობა და უმოქმედობა, რომელნიც თავის თავს ზომიერებს უწოდებენ და ვითომ ქართველ ერის ნაციონალურ ინტერესების დამცველათ მოაქვთ თავი.

ასე იცის დროის და გარემოების მიხედვით საპროგრამო მიზნების შეთხზვამ, ვისაც ამ პრინციპის მონური ფსიხოლოგია აქვს, იგი ყოველთვის ყირამალა აყენებს სინამდვილეს, რათა ამ სინამდვილეს გარეგნულად გონივრული ელფერი მიეცეს და გაამართლოს ის, რაც არავითარის პრინციპიალურის მოსაზრებით არ შეიძლება გამართლდეს.

„ივერია“ ჩვენ უიმედობას და გულგატეხილობას გვაბრალებს და თან დასძენს, ეს უიმედობაა, „რომ სამოქმედო ძალებს ასუსტებს და საქმიანობას აძნელებს, სააქო ბრძოლის მაგიერად საიქიო ბედნიერების იმედით იტაცებს დაბეზრავებულ და გულგატეხილ ქართველ საზოგადოებასო“. ჯერ ერთი, ჩვენ უიმედო არა ვართ; პირიქით ბედნიერ მომავლის იმედით ვართ სავსე; მაგრამ უფრო საინტერესოა მეორე მხარე: რა ასუსტებს სამოქმედო ძალებს და რა აძნელებს საქმიანობას—შორეულ იდეალების მტკიცე და შეურყეველი რწმენა თუ სინამდვილის დამახინჯება და განსახორციელებელ მიზნად ისეთ საგნის დაყენება, რაც უკვე განხორციელებულია, რათა ამ დამახინჯებით გამართლებულ იქმნას სრულიად მომწიფებულ საჭიროებათა დაუკმაყოფილებლობა.

ყველგან, ხოლო განსაკუთრებით კი ჩვენში ზომიერი მოღვაწეები ვერასოდეს ვერა ჰხედავენ ან, უკეთ რომ ვთქვათ, არა ჰხედავენ იმას, რაც რეალურ ცხოვრების კალოზე ნამდვილად ჰხდება. „ივერიის“ პუბლიცისტებს ჰგონიათ—და სწორედ ეს არის მათის ზომიერების ნიშნობლივი თვისება—ვითომც სხვა და სხვა ეროვნულ მიზნის განხორციელება თვით ქართველ ხალხის ხელთ იყოს; მაგრამ ჯერ არ მომწიფებულიყოს ან არ გაჩენილიყოს საჭიროება ამ მიზნების განხორციელებისა. საყურადღებოა, რომ თავის შეხედულების დასაბუთებლად „ივერია“ იმ ფაქტს იმოწმებს, რომ მთავრობის სკოლათა და სხვა დაწესებულებათა გავლენით ნახევრად გარუსებული ქართველი ინტელიგენცია ხშირად რუსულ ენას ხმარობს იქ, სადაც მას არავინ არ უშლის ქართულის ხმარებას. აქედან „ივერია“ დაასკვნის, ქართული ენის საჭიროება არ არსებობს და ამიტომ მთავრობასაც არ შეაქვს დაწესებულებებში ქართული ენაო. ასე უკუღმა აჩვენებს სინამდვილეს ჩვენებურ ზომიერების სათვალე. ცხადია, რომ „ივერიას“ აქ შედეგი მიზეზად ეჩვენება, ხოლო მიზეზი კი შედეგად. დასაბამი ქართულ ენის უხმარებლობისა ინტელიგენციის შეჩვევა კი არ არის რუსულ ენასთან, პირიქით მთავრობის და საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან ქართულ ენის გამოდევნაა იმისი მიზეზი, რომ ჩვენი ინტელიგენცია ხშირად ოჯახშიაც რუსულს ლაპარაკობს. და განა დასაჯერებელია, „ივერია“ თითონვე ვერ ჰხედავდეს თავის აზრების ყირამალობას?—ჩვენ გვჯერა, რომ იგი ამას ვერა ჰხედავს, გვჯერა, რადგან ივერიელებს ზომიერ ხასიათის მიმართულება ჰსურთ დაამყარონ ქართულ ცხოვრების ნიადაგზე, იმ ნიადაგზე, რომელიც აუცილებლივ ყირამალა უნდა იქმნას დაყენებული, რომ ზომიერება შეიწყნაროს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბ-ნმა ხაჩატუროვმა თავისი დაპირება შეასრულა გუშინ თავის გაზეთში დაბეჭდა შემდეგი პასუხი გაზეთ „ზაკავკაზიეს“ მიმართ:

ჩემ მიერ სუფრაზე, ერთ კერძო წრეში წარმოთქმული სიტყვები სრულებით არა ჰგავს „შეკითხვაში“ მოქცეულ ბრალდებას. გამოთქმული აზრი მოკლებული იყო იმ წინასწარ განზრახვას, რომელიც სურვილი აქვთ მიათვისონ მას შეკითხვის ავტორებმა, არ ეთანხმება ამ შეკითხვას თავისი შინაარსით და იმდენად კერძო და შინაური ხასიათი აქვს, რომ საჭიროდ არა ვთვლი პასუხი გავცე შეკითხვის ავტორს, რომელიც ამასთანავე თავის ვინაობას ჰმალავს. ამას გარდა საზოგადოებრივ გაზეთში ამგვარი შეკითხვა ჩემის აზრით იმდენად დაბალ განზრახვას შეიცავს, რომელიც თავისი ბოროტი შინაარსით სავსებით ჰფარავს ჩემთვის მითვისებულ ბოროტ-მოქმედებას.

მართლაც თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს სიტყვები ნამდვილად ჩემ მიერ ნათქვამია ერთ კერძო ნადიმის დროს, აქვს თუ არა უფლება საზოგადოებრივ ორგანოს, თუ იგი ხულიგანურ გაზეთების წრეს არ ეკუთვნის, მოათავსოს თავის ფურცლებზე ამგვარი შეუმოწმებელი შეკითხვები?

რა მიზანი აქვს ამ ორგანოს, როცა ამგვარ შეკითხვებს ჰბეჭდავს?

თუ ამ ამბის სიყალბე გამოჩნდა, მარტო ამ გვარ შეკითხვების ბეჭდვა შავ-ბნელი მოვლენაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ორში ერთი უნდა იყოს: ან ხაჩატუროვის მნიშვნელობა საზოგადოებაში იმდენად დიდია, რომ მისგან წარმოთქმული სიტყვები ერთ ეროვნებას მეორეს წინააღმდეგ აამხედრებს. ამიტომ რედაქციამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ამგვარ შეკითხვების დროს: ან ხაჩატუროვი მოკლებულია ამ დიდ მნიშვნელობას, რომელიც საჭიროა ამ „შეკითხვის“ გასამართლებლად, და მით უფრო საოცარია ამგვარ შეკითხვების ბეჭდვა, რომელიც წარმოადგენს პროვოკაციონურ ცდას ეროვნებათა შუღლის ჩამოსაგდებად.

შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ შეკითხვის ავტორი ან გაზ. „ზაკავკ.“ საზოგადო მოვლენად სთვლიდეს თვითეულ ჩემ სიტყვას, ჩემ სახლში ან კერძო ნადიმის დროს წარმოთქმულს. მაშ რა სარჩული აქვს ამ გაზეთიადებულ შეკითხვას?

ყველა ამ მოსაზრებათა გამო საჭიროდ ვსთვლი გაზ. „ზაკავკაზიეს“ რედაქციას შემდეგი პასუხი გავცე:

1) საჭიროდ არა ვსთვლი უსახელო შეკითხვებზე პასუხის გაცემას.; 2) ეს ჩემი პასუხი საჭიროა იმ ჰაერის გასაწმენდად, რომელიც შეხუთა საზოგადოებრივ ორგანოში დაბეჭდილმა შეკითხვამ; 3) იმ ადამიანის საქციელი, რომელმაც ასე ტლანქად დამაპეზრა რედაქციასთან არა ჩემ დასამცირებლად, არამედ მეზობელ ეროვნებათა ასამხედრებლად, პროვოკაციად მიმაჩნია; 3) იმ გაზეთისათვის, რომელმაც დაბეჭდა ეს დაბეზღება კერძო საუბრის შესახებ და აშკარად თანაუგრძნობს უსახელო ავტორის განზრახვას, ჯერ-ჯერობით შესაფერ სახელწოდებას ვერ ვპოულობ; 5) „შეკითხვაში“ მოქცეული საუბარი, —ახლავე ვაცხადებ,—არ ეთანხმება არც ფორმითა და არც შინაარსით სინამდვილეს. 6) გაზ. „ზაკავკაზიეს“ საქციელი განსახილველად და მსჯავრის დასადებად გადამაქვს „ტფილისის ჟურნალისტების საზოგადოებაში“. 7) გაზეთის ფურცლებზე უსახელო ავტორთან კამათის განგრძობას საჭიროდ არა ვსთვლი და ვსთხოვ გაზეთს, ან გამოაშკაროვოს ვინ არის „შეკითხვის“ ავტორი, ან ამ „შეკითხვაზე“ თითონ ხელი მოაწეროს.

* *
*

გაზ. „ზაკავკაზიე“ თავის მხრივ შემდეგს სწერს ბ-ნ ხაჩატუროვის შესახებ:

როცა „შეკითხვას“ ვბეჭდავდით, ერთად-ერთი ჩვენი მიზანი იყო გამოგვერკვია, თუ რა მოხდა ნადიმის დროს და ამნაირად ძირიანად აღმოგვეფხვრა ის სხვა და სხვა ხმები, რომელიც გავრცელდა და ააშფოთა საზოგადოება.

არ შეგვეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავით, რადგან იმ პირს, რომელსაც ბედმა ყურადღება მიაქცია და ორგანოს მეთაურად დააყენა, სულ სხვა აზრები და საქციელი მოეთხოვება. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ფაქტი. დეე დაინტერესებულმა მხარემ უარჰყოს იგი. მსჯავრს შემდეგ გამოვსთქვამთ.

მხოლოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ. დაინტერესებულმა მხარემ დ. იმისმა მომხრეებმა უნდა შესწყვიტონ მიმოსვლა იმ წყაროსთან, საიდანაც ჩვენ ცნობები მივიღეთ ამ შემთხვევის შესახებ. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ამგვარი საქციელი ზრდილობიანი არაა.

ძმები **არსენ** და **სვიმონ ანდრიას ძენი მახარაძეები** და მეუღლე **ასინეთ მახარაძისა** აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 მაისისთვის დანიშნულია მვარმოცე დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ლუკა ანდრიას ძის მახარაძის

სულის მოსახსენებლად წირვა და შემდეგ პანაშვიდი გადახდილი იქმნება ტფილისში, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. (2—250—1)

წარმოდგენა № 1. ქართული თეატრი წარმოდგენა № 1

ხუთშაბათს, 7 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა პ. ირეთელისა.**

ქრისტინე

დრამა 4 მოქმედ. და 5 სურათად.

მონაწ. მიიღებს მთელი ამხანაგობა **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „სად მიხვალ?“, „ღალატი“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. შუთშაბათოთ მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორდანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ე. ვაშაძიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აბანოს ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გოროხინი, N 9. (უ)

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა ბოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუსუნატი, სამარდა მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—121)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიეარაძისა (6—116)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საგუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 58)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლეშმის გაგმეთება, კბილის ჩასმა და პრეპარატები. აბოროხის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვის. (0—586—140)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. ბოლოვინის პრეს. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბოროხინს ქუჩა, N 11. (75—72)

ახლად გახსნილი

ტფილისის

პერძო სამკურნალო

ბარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის,

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომბრთელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშ. ავად. მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (ზ.—ნ.—55)

ექიმი ქუთაისში **ვ. ფარეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

იყიდება

სად. მცხეთაში მიწა, ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. კარგა სამოსახლოდ და სამეურნეოდ. პირობების შეტყობა შეიძლება ანასტასიევსკის ქუჩაზე, სახლი № 19, ბინა 2.

ძარეული

ხალხური სიმღერები

ლექსები

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთლის მიერ. წიგნის ფასი 50 კ. (5—1)

დაბა სამტრედიაში

კვირას, 31 მაისს, „ედემის“ ბაღში, გაიმართება

სეირნობა ლატა-რია-ალეგრით

ქ. შ. წერა.-კითხვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ.

ლატარია-ალეგრის მოწყობისთვის მიიღება ყოველნაირი შემოწირულება ნივთად ფუ ფულად დიდის მადლობით შემდეგ პირებთან: დაბა სამტრედიაში: მ. ა. გლადკოვისასთან, რაჟდენ ნანეიშვილთან და ი. სიხარულიძესთან; კულაშში—ქ. ლ. მამფორიას ასულთან და საჭილაოში—ნ. კორძაიასასთან.

გამგე სეირნობა ლატარია-ალეგრისა **მ. ა. გლადკოვისა.** თავმჯდ. განყოფილებისა **გ. სიხარულიძე.** (5—5.—1)

სამკურნალო

სპეციალიზტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2¼—4 ს.

კალამქაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

პავლოვკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 10½—11½ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი. კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—35)

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

დაშავებულ მუშათა დაჯილდოება.

5 მაისს სათათბიროში განაგრძო განხილვამ კანონ-პროექტისა, რომელიც დაშავებულ მუშების დაჯილდოებას შეეხება. წინა კრებაზე, როგორც ვწერდით, მემარცხენეებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ სამინისტროს პროექტი საკითხის შესახებ არ შეიტანა. 6 მაისის სხდომა შეუდგა კანონ-პროექტის მუხლებრივ განხილვას. ყოველ მუხლზე ს.-დემოკრატებს და ტრუდოვიკებს დამატება შეჰქონდათ დაშავებულ მუშათა დახმარების საქმის გაფართოვების შესახებ, მაგრამ ცენტრმა და მემარჯვენეებმა უარ-ჰყვეს ყველა დამატება. ბოლოს სათათბიროს მიიღო მთელი კანონ-პროექტი.

რეფორმა გამოძიების საქმეში.

სათათბიროს შეუდგა იუსტიციის სამინისტროს კანონ-პროექტის განხილვას, რომელსაც შეჯიბრებითი წესი შეაქვს სამართალში მიცემის წარმოებაში. მომხსენებელმა სკოროპადსკიმ განმარტა, რომ ეხლანდელი სარევიზიო წესი სამართალში მიცემისა დიდი ხანია გასაუქმებელია, რადგან საჭიროა გამარტივდეს სასამართლოში საქმის წარმოება, სწრაფი გახდეს იგი და ამასთან ბრალდებულს მიეცეს საშუალება სრულიად და ყოველ-მხრივად განიხილოს საკითხი სამართალში მიცემის შესახებაო.

მემარჯვენენი კანონ-პროექტის წინააღმდეგნი იყვნენ. მათის აზრით, ტუსაღებზე ზრუნვა შეუფერებელია; მზრუნველობა უნდა გავუწიოთ მშვიდობიან ხალხს და არა სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებს, რომელნიც სატუსაღოებში არიან დამწყვდეულნი. მემარცხენეებმა უსაყვედურეს მთავრობას, რომ შეჯიბრებითი წესი შეაქვს მის კანონ-პროექტს სამართლის წარმოების მხოლოდ ერთ მომენტში: ისინი საჭიროდ სცნობდნენ შეჯიბრებითი წესი შემოღებულ იქმნას წინასწარ გამოძიების დროსაც. საჭიროდ მიაჩნიათ აგრეთვე არსებითი რეფორმა მოხდეს ძაძიებელ პოლიციის ორგანიზაციაში. კამათის შემდეგ სათათბიროს შეუდგა კანონ-პროექტის მუხლ-მუხლად განხილვას და მიიღო კიდეც იგი.

მღვდლობა ჩამორთმეულთათვის უფლებების დაბრუნება.

უფრო საინტერესო იყო მესამე საკითხი, რომელიც ამ დღეს სათათბიროს განიხილა. იგი შეეხებოდა მღვდლობიდან გადაყენებულთათვის ან თავიანთ ნებით გადამდგართათვის უფლებების დაბრუნებას.

დღევანდელ კანონის ძალით, ანაფორა გახდილ ან თავის ნებით გადამდგარ მღვდელს ერთმევა სხვა და სხვა პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებანი. ამ ახალ კანონ-პროექტით უნდა გაუქმდეს ასეთი შეზღუდვა ყოფილ მღვდლებისა.

დიდ ხანს ილაპარაკა სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა. მან, როგორც მომხსენებელმა ლვოვმა აღნიშნა, მთელი ნოტაცია წაუკითხა სათათბიროს: კარგად არ იქცევით, რომ სინოდთან და, საზოგადოდ, სასულიერო მთავრობასთან ერთ სულ და ერთ ხორც არ მოქმედებთო, ერთმანეთს აძულებთ სასულიერო და საერო მთავრობასაო და სხვა. თავი და ბოლო იმის ლაპარაკისა კი ის იყო, რომ ეს კანონ-პროექტი ჯერ სინოდმა უნდა განიხილოს და მერე სათათბიროსმაო.

ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს სათათბირო ორად გაიყო: ცალმხარეს დადგნენ მემარჯვენენი, მეორე მხარეს—ოქტომბრისტები და ოპოზიცია. პირველნი მიემხრნენ ობერ-პროკურორის ამხანაგს, მეორენი—კანონ-პროექტს. სხვათა შორის მაღალროსიულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა გლეხმა სტარჩაკმა და უბრალოდ და მარტივად სთქვა: ბევრი რამ არ მესმის თქვენი, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ თუ კი ზოგიერთ მღვდლებმა თავი მიანებეს ეკლესიას და აქ სათათბიროში სხედან, უსამართლობა იქნება ლუკმა პურის მოპოვების უფლება მოუსპოთ იმათ, რომელნიც სულ თავს ანებებენ მღვდლობასაო.

ცხარე სიტყვა წარმოსთქვა კადეტმა კარაულოვმა. იმის სიტყვის შემდეგ მემარჯვენენი სათათბიროდან გავიდნენ.

სათათბიროს ბოლოს მიიღო კანონ-პროექტი.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
6 მაისი

ოსმალეთი

სალონიკი. მოვიდნენ ალბანელი დეპუტატები ნეჯიბდრაგა და ჰასსან-ბეი. დეპუტატებს და ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს თათბირი ჰქონდათ. ამის შემდეგ დეპუტატები ალბანიაში გაემგზავრნენ.

იპეკი. აფიცრების თანხლებით წავიდა მუტესარიფი იზმაილ-ხაკი. რადგან აბდულ-ჰამიდი სალონიკიდან გადაჰყავთ, იზმაილ-ხაკიმ ამის შესახებ ახალგაზრდა ოსმალთ ალბანელების წინადადება გადასცა.

სტამბოლი. აბდულ-ჰამიდის შვილს სურხან-ედინს სამართალში აღარ აძლევენ. მას ნება დართეს თავის გათხოვილ დისასახლეში იცხოვროს.

პირველ კორპუსს ჩამოართვეს საიმპერატორო გვარდიის სახელი.

სტამბოლი. ქურთების ბელადებმა დაარწმუნეს ოსმალეთის მთავრობა, რომ კონსტიტუციის მომხრენი და ერთგულნი ვართო.

გენერალისიმუსი მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა დაინიშნა რუმელიის სამი კორპუსის ინსპექტორად. იმის ადგილას, მესამე კორპუსის უფროსად, დანიშნეს კოსოვას ვალი ზადი-ფაშა.

ოფიციალური გაზეთი სწერს, რომ ტეფიკ-ფაშა დაინიშნა ელჩად ლონდონშიო.

სამხედრო სასამართლოს განკარგულებით გაზეთი „ვოლკანის“, „ბერბესტის“, „იკდამის“ გამომცემლები და „იკდამის“ მთავარი რედაქტორი ათი დღის განმავლობაში სასამართლოში უნდა გამოცხადნენ; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქონების კონფისკაციას მოახდენენ. სამხედრო სასამართლომ უვადო კატორგა გადაუწყვიტა იმ მესტამბეს, რომელმაც ტაქსიმის ყაზარმის საღდათები ააღელვა.

სტამბოლი. გააუქმეს საქონლის გადამზიდველ მუშების კორპორაციები.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატამ განიხილა ბეჟდვითი სიტყვის თავისუფლების კანონ-პროექტი. კანონ-პროექტი მიიღეს კომისიის რედაქციით.

ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩი პალავიჩინი დასასვენებლად წავიდა. პალავიჩინის მოვალეობას დროებით ასრულებს საელჩოს მრჩეველი ოტტო.

თალაატ-ბეის სიტყვით, ტყუილია ის ხმა, ვითომ იგი სალონიკში აბდულ-ჰამიდის სანახავად წასულიყოს და მასთან ფულის შესახებ მოლაპარაკება გაემართოს. თალაათ-ბეი ამბობს, რომ 12 აპრილის შემდეგ სტამბოლიდან აჩუსად წავსულვარო. ის ამბავი, ვითომ თალაათ ბეი სალონიკში აბდულ-ჰამიდთან მოსლაპარაკებლად წასულიყოს პირველად გაზეთ „სალონიკსკო პროგრესში“ დაიბეჭდა. ეხლა ამავე გაზეთმა უარ-ჰყო ეს ამბავი.

გაზეთი „საბახი“ თავის მეთაურ წერილში სწერს, რომ ოსმალეთის ბუნებრივ მოკავშირეთ ინგლისი უნდა ჩაითვალოსო. ინგლისი დაინტერესებულია, რომ ოსმალეთი ძლიერი იყოს და გერმანიის ლტოლვილებას აღმოსავლეთისკენ ანგარიში გაუწიოს. ამაში საფრანგეთი და იტალიაც არიან დაინტერესებულნი. რაც შეეხება რუსეთს, გაზეთის აზრით, რუსეთიც დაინტერესებულია ოსმალეთის სიძლიერეში, რადგან რუსეთმა თავისი პოლიტიკა გამოსცვალა და უმთავრეს ყურადღებას შინაურ რეფორმებს აქცევს. „საბახის“ აზრით, ოსმალეთის გარეშე პოლიტიკა ასეთი უნდა იყოს: კავშირი ინგლისთან, შეთანხმება რუსეთთან, საფრანგეთთან და იტალიასთან. ამასთან, გაზეთის აზრით, საჭიროა საბერძნეთთან და სერბიასთან შეთანხმებაც. რუმინიას გაზეთი გერმანიის გავლენის ქვეშ სთვლის, ხოლო ბოლგარიაზე ამბობს. რაც შეეხება გერმანიას და ავსტრიას, ოსმალეთმა ამათთან მეგობრული დამოკიდებულება უნდა იქონიოს, რა თქმა უნდა, თუ ეს უკანასკნელნი ოსმალეთის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას არ დაიწყებენ.

სტამბოლი. გაზეთ „ტანინის“ სიტყვით, ახალგაზრდა ოსმალნი დიდ შეცდომას სჩადიან, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობას ძველი რეჟიმის მოღვაწეებს ანდობენ, იმ მოღვაწეებს, რომელთაც არა სურთ, რომ კაბინეტში ახალი ძალები შევიდნენ. გაზეთის აზრით, მინისტრთა ამხანაგების შესახებ კანონ-პროექტის უკან წაღება აგვიანებს. კაბინეტის პარლამენტში გამოსვლას და მის პროგრამის გამოქვეყნებას.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. დეპუტატი დენი კომენი მთავრობას შეეკითხა ადანაში სომხების აწიოკების შესახებ. დენი-კომენმა განაცხადა, საჭიროა, რომ დიპლომატებმა უფრო ნათლად დაიცვან ცივილიზაციაო და მოითხოვა, რომ ამისთანა შემთხვევაში არ უნდა გავჩუმდეთ, რადგან გაჩუმება სხვა ნაირად შეიძლება ახსნან და ისე გაიყვანონ, თითქოს ჩვენ თანაუგრძნობდეთ აწიოკებასაო. მინისტრმა ამაზე განაცხადა, რომ ოსმალეთის ძველ მთავრობასთან აღარა გვაქვს საქმე, ეხლა იქ ახალი მთავრობაა და ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ, რომ ახალგაზრდა ოსმალებმა ხალხის ნდობა დაიმსახურონ და გაძლიერდნენ, რომ ქრისტიანების აწიოკებას ხელი შეუშალონო. პალატა დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებით და მიირიგ საქმეებზე გადავიდა.

სპარსეთი

თავრიზი. ამბობენ, რომ სათარხანის სახლში კავკასიელებმა ააფეთქეს თოფის წამლის საწყობი. ვითომ სათარ-ხანს კავკასიელებისათვის ფული არ მიეცეს და მათ შური ეძიოთ.

თავრიზში ბრუნდებიან სპარსელი მოხელენი და ადგილობრივი არისტოკრატები, რომელნიც არეულობის დროს ბასმინჯაში გაიქცნენ.

დერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორად ასახელებენ საინუდ-დოულეს, მეჯლისის ყოფილ თავმჯდომარეს.

ბარიკადები სულ დაანგრიეს. საქონელი ყოველ დღე შემოაქვთ და მიაქვთ. ცხოვრება თან და თან ნორმალურ კალაპოტში შედის. რუსის მთავარმა კონსულმა დაპატიმრა რუსეთის ქვეშევრდომები, რომელიც კავკასიელ ფედაიების მეთაურად ითვლებოდა და თავრიზის რევოლიუციაში დიდ მონაწილეობას იღებდა. მათ რუსეთში გაგზავნიან და სამართალში მისცემენ.

ურმიიდან ცუდი ამბები მოდის.

საზღვარ-გარეთ.

პარიზი მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ფოსტა-ტელეგრაფის 20 მოხელეს კიდევ დაითხოვენ. მინისტრთა საბჭომ მოიწონა შესწორება იმ კანონ-პროექტისა, რომლითაც განსაზღვრულია მოხელეების უფლება კავშირების დაარსების საქმეში. პარიზში 1023 ფოსტის მოხელეა გაფიცული. გაფიცული იყო 1593 მოხელე. პროვინციაში ფოსტის მუშაობა ნორმალურად სწარმოებს. მარტო სენ-კანტონსა, ნანსსა და ამოენისში კიდევ არიან გაფიცულები, უმთავრესად მუშები.

პალატამ უარ-ჰყო წინადადება

ტუსაღის ამონაკვნესი

დამდოცა მშობლის ძუძუმა,
ვეუცვი ბრგე და დიდი,
მაგრამ მიმუხთლე, სოფელო,
წიდად მარგუნე წუგდიადი!

* * *

დამიმონავე, შემბოჭე,
გამწარე მარტო, ეული;
დაგტურავ სეფდის მორეგში,
ციხეში გამომწყვდეული!

* * *

შეგბდეური ბერ-ქუშ კედლებსა,
ადარ მადირსე სინათლე...
ნეტავ მენახა ის მხარე,
სად მარად მეფობს სიმართლე!

გიორგი.

რად მინდა?

რად მინდა შუქი,
ან ვარსკვლავთ სრბოლა
და ან მსუბუქი
ნიავის ქროლა;

* * *

რად მინდა ვარდი
ედემს დარგული,
ან ცის დაყვარდი,
გუშაგი სრული;

* * *

რად მინდა, დმერთავ,
შეგსტრფოდე მთავარს,
როცა შენ გხედავ
დადსა, მტინარეს!

ი. გრიშაშვილი.

მგოსნის სიმღერა

თვალთა მდის ცრემლი უშრობი,
გულში მინთია გენია;
სევდამ მოწამლა, ჩაახმო
ჩემი სიცოცხლის დღენია!

არ შუბრალდეს, კამეცხელ,
ადარ მომიღეს ძმურადა;
შორს კამრბიან, ვით უგნურსა
შემოტყერიან მგლურადა!

მგზნებარე გული სატრფოსი
გაქვავებულა სრულადა,—
მის მადმერთებელს მგოსანსა
ისევ მეპყრობა მტრულადა!

გარს მახვევია ნისლთ გროვა,
ღრუბლები მოსაწყენია,
ღრე-კლდენი მიუვლები—
და თან ეკადი მკენია!

მაგრამ გულს მითი არ ვიტეხ,
რომ ეჭვრეტ სიბნელეს გზისასა:
მსურს გადავთელო კლდე-ღრენი,
ავსწვდე მწვერვალსა მთისასა,—
რომ მადლიანა დავძახო
ტკბილი სიმღერა არესა
და ძიდი მითი გაუკრთო
მიძინებულსა მხარესა!

ლადო გეჯეიშორი.

ახალი ამბავი

ქართულ-ენის დაკრძალვა საბავშვო ბაღში. - ოკეანელებმა იციან, რომ ამ ორის წლის წინადვერაზე მშობელთა წრემ მოაწყო პატარა საბავშო ბაღი. სწავლა სახალხო დირექტორის თანხმობით ქართულს ენაზე იყო. ამას წინააღუდგა სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი. ამის გამო ბაღის ინიციატორებმა მოხსენება წარუდგინეს უმაღლეს მთავრობას და ითხოვეს ნება მასცემოდა, სამშობლო ენაზე ევარჯიშნათ ბავშვები. ეხლა პასუხი მოვიდა სამინისტროსაგან, რომელმაც თანახმად ოლქის მზრუნველის რუდოლფის აზრისა, უარ-ჰყო მშობელთა წრის შუამდგომლობა. ამ რიგად, მშობელთა წრის მიერ დაარსებულ საბავშვო ბაღში, სადაც 3-5 წლის ბავშვები არიან, არ შეიძლება ბავშვებთან ქართული მეცადინეობა.

✦ **კახეთის რკინის გზა.** როგორც გამოირკვა, კახეთის რკინის გზის მიმართულება, ახლად მიღებულ კონცესიის თანახმად ასეთი უნდა იყოს: ნავთლუღ-საგარეჯოვრის ხეობა, სიღნაღი, პრასიანის აღმართი, ქიზიყი და აქედან თელავამდე ალაზნის ხეობით. ამ ზაფხულს კონცესიონერებმა გზის დამატებითი ტეხნიკური გამოკვლევა უნდა მოახდინონ თავიანთ ხარჯით, ასე რომ თვით გზის გაყვანა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მომავალ წლის შემოდგომაზე. კონცესიის საქმე საბოლოოდ გადასწყდება სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტში, საიდანაც შემდეგ პირდაპირ ხელმწიფეს წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ **ღუშეთის ხაზინის საქმე.** ხვალ, 8 მაისს, ტფ. სამოსამართლო პალატაში გაირჩევა საქმე ღუშეთის ხაზინიდან ფულის გატანის შესახებ. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩევა.

✦ **დაპატიმრებული სომხები.** როგორც ვწერდით, ადმინისტრაციის განკარგულებით გაჩხრიკეს და დაუპატიმრეს, სხვათა შორის, ტფ. სომეხთა ნერსესიან-სემინარიის რექტორი, ცნობილი სომეხთა მწერალი აჰარონიანი, სომეხთა საეტნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე მელიქ აზარიანცი და სხვანი. ამ ორი დღის წინად დაპატიმრებულნი

ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში

ცოტა რამ ესთეტიურ გრძნობათა ცხოვრებიდან.

(შემდეგი. იხ. «დროება» N 96)

7.

იმათ შორის, ვინც ქართულად აზროვნებდა, გრძობდა და სთხზავდა ტრაგიკული ხელოვნება არავის არ აუყვანია იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ნ. ბარათაშვილი ავიდა თავის ლირიკაში. პირველად ამ მგოსანმა გვაგრძნობინა, რომ ტრაგიკული სიდიადე, მუდმივი ტანჯვა და ბოლოს დამარცხება ხვედრია თვით მსოფლიოს საბედისწერო და გარდაუვალ მსვლელობისა, რომ ტრაგიზმი გამომდინარეობს თვით სამყაროს ტრანსცენდენტალურ არსებობისა, იმის მეტაფიზიკურ შუაგულისაგან. თავის ტრაგიკულ გმირად მან დაგვისახა დიადი მე, ზოგადი, ყოველ ინდივიდუალურ საზღვრებისაგან თავისუფალი პიროვნება, რომლის ბრძოლა, ლტოლვა და ტანჯვა სივრცის, მიზეზობრიობის და მიზანთა ურთიერთობის გარეშე სდგას. ეს არ არის ტრაგიზმი ამა თუ იმ დიად პიროვნებისა, რომელიც განსაკუთრებულს სახიფათო პირობებში სდგას, როგორც სოფოკლის ედიპოსი ან ანტიგონა, შექსპირის რომეო, ოტელლო ან იულიოს კეისარი ქართულს ლიტერატურაში ი. ჭავჭავაძის მეფე დიმიტრი თავადებული; ან ებრძვის ამა თუ იმ გარეშე მტრებს და მოწინააღმდეგეებს, როგორც ბრუტოსი, ანტონიოსი, რიჩარდ მესამე, კორიოლანოსი, ან იღუპება შინაგან კონფლიქტის გამო, თავის მეორე მესთან ბრძოლაში, როგორც მაკბეტი, გოეტეს ფაუსტი, იბსენის როსმერი და რებეკკა ვესტი, ვაგნერის ტანჰოიზერი, ჰაუპტმანის ოსტატი ჰაინრიხი „დაძირულს ზარში“ და ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ან ლერმონტოვის განსაკუთრებულად ძნელს მისაწდომს მიზნებისკენ, როგორც ესქილოსის პრომეთეოსი, ბაირონის კაინი და ლუციფერი, იბსენის ბრანდი და ხუროთ-მოძღვარი სოლნესი. ბარათაშვილმა შესძლო დაენახვებინა, რომ თვით არა ჩვეულებრივ პიროვნების სიდიადეში სძევს მომენტები, რომელნიც ჰქმნიან ტრაგიკულს მდგომარეობას გარეშე მტრების, მიზეზების და მიზნების დამოუკიდებლადაც: ერთად-ერთი მოწინააღმდეგე, რომელსაც ებრძვის იგი და რომლის წინაშეც ბოლოს აუცილებლად ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა მოკვდავმა, არის ბედისწერა.

არისტოტელმა თავის „პოეტიკაში“ (თ. 6 და 14) ის აზრი გამოსთქვა, რომ ტრაგიზმისთვის აუცილებლად საჭიროა მოქმედება, რომ არა ტრაგიკულს შთაბეჭდილებას ახდენს ყოველი გმირი, რომელიც უმოქმედოდ სდგას ან რაიმე მოქმედების შესრულება სურს და ვერა სძლევს. შემდეგ ლესსინგმა და ჰეგელის სკოლის ზოგიერთა წარმომადგენლებმა უკიდურესობამდე მიიყვანეს ეს შეხედულება, რომელიც შეიძლება კლასსიკურ საბერძნეთისთვის სრული ჭეშმარიტებაც იყო, მაგრამ დღეს აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვე ხელოვნების, განსაკუთრებით მუსიკის, განვითარებას. თვით დრამატიულს ხელოვნებაშიაც კი მეცხრამეტე საუკუნემ წარმოშობა სრულიად სამართლიანი ესთეტიური ტიპი შემოქმედებისა, ეგრედ წოდებული „სულიერი დრამა“, რომელშიაც შინაგანი კონფლიქტი, სულიერი შეტაკება და ბრძოლა შესამჩნევად სჭარბობს, ხშირად სრულიად ჩრდილავს გარეგნულს მოქმედებას, გარეშე მტრებთან შეტაკებას და ბრძოლას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიდევ უფრო ძლიერს ტრაგიკულს შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე „მოქმედების დრამა“. ის ჭეშმარიტება, რომ თანამედროვე ადამიანის სულიერი შინაგნობა უფრო მადლიერი და ნაყოფიერი ასპარეზია ტრაგიზმის შესაქმნელადვე, ვიდრე გარეგნულ მდგომარეობის სახიფათოდ გახლართული პირობები, ცხადჰყო-ახალ დრამის განვითარებამ: გოეტეს „იფიგენიამ“ და „ტორკვატო ტასსომ“, ბაირონის „კაინმა“ და „მანფრედმა“, შემდეგ, განსაკუთრებით, ჰ. იბსენმა, ბ. ბიერნსონმა, ჰაუპტმანმა, ჰოფმანსტალმა და მეტერლინკმა. მაგრამ კიდევ უფრო აშკარად, ვიდრე „სულიერი დრამა“, ლირიკური და მუსიკალური ხელოვნება მოწმობს იმ აზრს, რომ გარეგნულ მოქმედების გარეშედაც შესაძლებელია ღრმა ტრაგიზმის შექმნა: ბაირონის, ლეოპარდის, ლენაუს და ჰოელდერლინის ლირიზმი უმეტეს ნაწილად ტრაგიკულია, ისევე როგორც რომანტიულ მუსიკის ბევრი ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთსა და არც მეორეს არ შეუძლიან დრამატიული მოქმედება ცუტად თუ ბევრად ნათლად გამოხატოს. მაგრამ ამას გარდა არის ლირიკაში ისეთი მომენტები, რომელნიც მას მუსიკას უახლოვებენ.

მუსიკას შოპენჰაუერმა მეტაფიზიკური ხელოვნება უწოდა. მაშინ როდესაც ყოველი სხვა ხელოვნებ პლატონიურ იდეის, მეტაფიზიკურ ნების ყოფის ობიექტივიზაციის რომელიმე საფეხურის გამოხატულებაა, მუსიკა—ეს, მისის აზრით, უმაღლესი ნაყოფი ადამიანის ესთეტიურ შემოქმედებისა—ჰხატავს თვით პირველყოფილ მსოფლიო ნებისყოფას პირდაპირ, უსაშუალოდ. ტონების ჰარმონიაში იხატება უდაბლესი მხარეები მეტაფიზიკურ არსებობისა, მელოდიაში, კონსონანსში და დისსონანსში კი—შეგნებით განათებული ნების ყოფის ტანჯვა, ღელვა, გათიშვა და შერიგება თავის თავთან. „ის ჰხატავს არა თუ იმ განსაზღვრულს სიხარულს, ამა თუ იმ ჭმუნვარებას, ან ტკივილს, ან საშინელებას, ან სიმოვნებას და სულის სიმშვიდეს; არამედ თვით სიხარულს, ჭმუნვარებას, ტკივილს, საშინელებას, აღტაცებას და სულის სიმშვიდეს საზოგადოდ, ასე ვთქვათ, m abstracto, მათს დედააზრს ყოველ დამატების და მოტივის დამოუკიდებლად... მაგრამ მისი ზოგადობა სრულიადაც არა ჰგავს აბსტრაქციის ცალიერს ზოგადობას, არამედ სულ სხვა ხასიათისაა, შეერთებულია ნათლად გარკვეულს განსაზღვრულებასთან“. („სამყარო როგორც წარმოდგენა და ნებისყოფა“. ტ. 1, წიგნი 8, § 52). შოპენჰაუერის ხელოვნების მეტაფიზიკაში ეს უკანასკნელი აზრი ყველაზე უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან: მუსიკის ენა მართლაც ზოგადი და განსაზღვრულია ერთსა და იმავე დროს; გრძნობა აქ ლაპარაკობს პირდაპირ ხმიდან, ტონების მელოდიიდან ყოველ ინტერპრეტაციის, ლოდიკურ ან ისტორიულ ახსნის გარეშე, ამასთან იმდენათ აშკარად და გარკვეულად, რომ შეუძლიან ნათელი მოჰფინოს და გაგვაგებინოს რაიმე მხატვრული ან დრამატიული სცენა, რომელიც უიმისოდ იდუმალი და გაუგებარია. რ. ვაგნერის მუსიკალური დრამა კარგად მოწმობს ამ შეხედულებას.

მაგრამ, მეორეს მხრივ, მუსიკას არ ძალუძს სიტყვების, მოქმედების დაპლასტიკის დაუხმარებლად გრძნობისა და სულიერ მოძრაობის ინდივიდუალიზაცია, მას არ შეუძლიან დაგვანახვოს, რომ ეს განსაკუთრებული გრძნობა, რომელიც მისის ტონებიდან გამოისმის ამ განსაკუთრებულ პიროვნებასთან, ამ განსაზღვრულს ბედთან არის შეკავშირებული: ამიტომაა, რომ მუსიკალურს ტრაგიზმს რაღაც გამოუთქმელი მეტაფიზიკური, თითქო მთელის სამყაროსთვის საბედისწერო ელფერი აქვს და უფრო საშინელს გავლენას ხდენს ვიდრე მხატვრული ან დრამატიული ტრაგიზმი. ეს კარგად ესმოდათ იმათ, ვინც დრამას და მუსიკას ერთმეორეს უკავშირებდა, როგორც ესქილოსი და სოფოკლი ძველს საბერძნეთში ან რიხარდ ვაგნერი თანამედროვე ხელოვნებაში, ან ტრაგედიის წარმოშობას მუსიკის სულში ეძებდა, როგორც ფრ. ნიცშე. ბეეთჰოვენის „საგმირო სიმფონია“, ბერლიოზის „ფაუსტის შეჩვენება“ და „რეკვიემი“, ბრამსის „ტრაგიკული უვერტიურა“, ლისტის „კონცერტი“ (Adur) და ვაგნერის „ტანჰოიზერის“ და „ტრისტან და იზოლდას“ უვერტიურები ისე მოქმედებენ, თითქო ტრაგიზმი ხვედრი იყოს თვით მსოფლიოს მეტაფიზიკურ შინაარსისა; თითქო ხმები მოგვითხრობდნენ ამ უსახელო, გამოუთქმელს მასთან უდიდესს, არსების სამარადისო მღელვარებაზე, ტანჯვაზე, გამარჯვებასა და დამარცხებაზე, უმიზეზო და უმიზნო ლტოლვაზე, რადგან იგი ერთი და განუყოფელია, როგორც შოპენჰაუერის ნებისყოფა, და, მაშასადამე, მის გარეშე არა რა არსებობს, რასაც შეეძლო მისი ტანჯვა გამოეწვია ან მისი ლტოლვის მიზანი გამხდარიყო.

8.

ასეთივეა ბარათიშვილის ტრაგიზმი. მისის მერანის უგზო უკვლოდ ფრენა, მისი გიჟური, უმიზნო ლტოლვა საუკეთესო ლირიკური ილლუ-

პატიმართა ვაგონებით გაჰგზავნეს ქ. ნოვოჩერკასკში, სადაც ამ ჟამად გამოძიებაა ორმოცამდე დაპატიმრებულ სომხის ცნობილ მოღვაწეთა საქმის შესახებ. სხვებსაც ნოვოჩერკასში გაჰგზავნიან, სადაც გაასამართლებენ ყველას ერთად.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოების ნივთები.** წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში არის სამ მაისის ლატარიის დარჩენილი ნივთები. საზოგადოების გამგეობა სთხოვს ვისაც ეს ნივთები ერგო, მობრძანდეს კანცელარიაში და მიიღოს ნივთები ამი დღის განავლობაში. თუ არ წაიღებენ ამ ხნის განმავლობაში, ნივთები შემოწირულებად ჩაითვლება.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები“, შეკრებილი ი. გ. კარგარეთლის მიერ. წიგნი საუცხოოდ არის გამოცემული და დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე. თავში ნოტებია მოქცეული. გადაღებულია სიმღერები: „შევსვათ წითელ-წითელი“, „ვარადო“, „ბრძანა სოლომონ მეფემან“, „მრავალჟამიერ“, „ორმოცის წლის ბებიაო“ და მრავალი სხვა. წიგნის ნახევარი უჭირავს სახალხო სასიმღერო ლექსებს. წიგნი ღირს ათ შაურად, რაც ასეთ წიგნისთვის იაფია.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 5 მაისს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა ქუთაისის მაზრის ს. ჭყვიშის მცხოვრების კირილე ალექსანდრეს ძის ნიკოლაიშვილის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა ჭიათურის ს.-დ. ორგანიზაციის წევრობა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ნიკოლაიშვილი და მიუსაჯა ოთხი წლით კატორგაში გაგზავნა. ბრალდებულს იცავდნენ ნაფ. ვექილი ი. საყვარელიძე და ი. კაჩუხოვი.

✦ **გრ. რობაქიძის ლექციები.** როგორც გადმოგვცეს, ათ ამ თვიდან გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ლექციებს აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველაზე ფოთსა, სუხუმსა და ბათუმში.

✦ **ისიდორე რიმიშვილი.** პოლიცის დეპარტამენტის განკარგულებით პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი რამიშვილი სამის წლით ასტრახანის გუბერნიაში იგზავნება.

✦ **სესხი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკვე შეიმუშავა მოხსენება მეოთხე 5% სესხის შესახებ, რომელიც განსახილველად წარედგინება 11 მაისს ქალაქის საბჭოს. გამგეობის პროექტით, აღებულ უნდა იქნას სესხად 3 მილიონი.

✦ **დეპუტაცია.** ამ დღეებში ტფ. სომეხთა ინტელიგენციის მეცადინეობით განსაკუთრებული დეპუტაცია წარუდგა კავ. ნამესტნიკს და შუამდგომლობა აღძრა დაპატიმრებულ მწერლის აჰარონიანის, მელიქ-აზარიანცის და სხვათა განთავისუფლების შესახებ.

✦ როგორც შეითხვედებს მოეხსენებათ, ტფ. წვრილ ვაჭართა კომიტეტს მრავალი სადაო საქმე აქვს ხოდმე განსახილველი. კომიტეტი დიდს დროს ანდომებდა ამ საქმეების კარნეგას. უკანასკნელ სხდომაზე კომიტეტს თათბირი ჰქონდა ისეთ საგანგებო ორგანიზაციის დაწესებაზე, რომელიც განსაკუთრებით სადაო საქმეების განხილვა აწარმოებს. ამ აზრით, კომიტეტმა დაადგინა აირჩიოს კომისია, რომელიც ახლო მომავალში მოხსენებას წარუდგენს კომიტეტს, თუ როგორ მოეწყოს სამედიატორო კარჩევა წვრილ ვაჭართა სადავო საქმეებისა.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მიხეიდის საავადმყოფოდან გამოწერილა, ეოველს საშუალებასა და ნაცნობებს მოკლებული ა. ბახტაძის ასული სთხოვს გულშემატკივართ შემწეობას, რომ ხონში წასვლის საშუალება მიეცეს. უსახსრობისა გამო მშიერ-მწყურვალი ავადმყოფი ქუჩაში დაეხეტება. აღრესი: სამების ქუჩა (ფოსტის უკან), № 6, ბეტრე მოინავას ბინა.

✦ დღეს, 7 მაისს, სადამოს 8 საათისთვის დანიშნულია სხდომა წ. კ. საზ. მთ.-კომკეობისა, რომელმაც უნდა განიხილოს მიმდინარე საქმეები.

სიტყვა-კაზმული მიერლოგა

საამშაბათ საღამოთი სამეფნო ბანკის სადგომში მოხდა მორიგი კრება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა.

ბ-ნმა ს. გორგაძემ წაიკითხა საუნარადღეო მოხსენება ქართულ წყობილსიტყვაობაზე. მომხსენებელის გამოკვლევით, დექსთა წყობის სისტემა ერთსა და იმავე დროს არის სილაბური და ტონური, რასაც ბუნებრივი კუშარი აქვს ქართულ ენის საფონეტიკო ხასიათთან; ძველი ქართული მწერლობა აღმოსავლეთის დიტერატურის ძლიერ გავლენის ქვეშ იმოფებოდა; ამით უნდა აეხსნას, რომ ისეთი პოეტებიც კი, როგორც შოთა რუსთაველი, ქართულ დექს მხოლოდ სილაბურ დექსთა წყობის პრინციპების თანახმად სთხზავდნენ.

რეფერენტმა მოიყანა სანიმუშო მაგალითები ისეთის ქართული დექსებისა, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ტონურიც არის და სილაბურიც, და დასკვნა, სწორედ ამგვარ დექსებში სჩნდება ქართულ დექსის უმაღლესი ჰარმონია. დასასრულ ბ-ნმა რეფერენტმა გამოსთქვა იმედი, რომ ეხლანდელი პოეტები, რომელნიც აღმოსავლეთ პოეზიის გავლენას ნაკლებ განიცდიან, ტონურ დექსთა წყობის ხასიათს მეტს ყურადღებას მიაქცევენ და ქართულს დექსს უფრო გაადამზებენო.

ბ-ნ გორგაძის მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

მოხსენების შემდეგ წაიკითხეს დექსები რუხაძისა და ეგადოშვილისა.

როგორც შევიტყვეთ, ბ-ნ გორგაძის გამოკვლევა წყობილ სიტყვაობაზე დაიბეჭდება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის მიერ განზრახულ სალიტერატურო კრებულში.

ოსმალეთი

ომის ლანდი.

ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ მეშვიდე კორპუსი საომრად დაემზადოს, რადგან შესაძლებელია ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან უთანხმოება მოგვვიდეს და საქმე გართულდესო.

მეშვიდე კორპუსი დგას ქალ. ერძინგიანში, სპარსეთის საზღვარის ახლო.

შევკეთ-ფაშა.

გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ-ფაშა მიდის მცირე აზიაში იქაურ ჯარების დასათვალიერებლად.

მეოთხე კორპუსი.

ის ხმა, რომ მეოთხე კორპუსმა სტამბოლზე გაილაშქრა რეაქციის დასახმარებლადო, ტყუილი გამოდგა. ამ კორპუსის უფროსმა პირიქით ბეჯითი ლონისძიება მიიღო რეაქციონერების ასალაგმად; მან დაატუსაღა 45 სამხედრო პირი, რომლებსაც მონაწილეობა მიეღოთ კონტრრევოლიუციაში.

სპარსეთის ამბები

შაჰი გაიქცა ბაღეშაჰიდან.

თეირანიდან დეპეშით იუწყებიან: „რევოლიუციონერთა რაზმებმა ყველა მხრიდან იერში მიიტანეს თეირანზე. შაჰი შეშინდა და ღამით გაიპარა თავის ბაღეშაჰიდან. ბესტში რომ რევოლიუციონერები ისხდნენ, ყველანი გამოვიდნენ, რადგან ეხლა აღარ ეშინიანთ მთავრობისა“ („ზ.“)

„პეტ. დეპ. სააგენტოს“ დეპეშამაც ხომ გვაცნობა, რომ შაჰი სულთანაბადში წავიდაო.

შაჰი სანდობი არაა.

კონსტიტუციის აღდგენის გამო, „რუს. ვედომოსტი“ სწერს:

„შაჰი იძულებული იყო კონსტიტუცია აღედგინა, მაგრა ამ ამბავმა სულაც ვერ დაამშვიდა სპარსეთის ხალხი, როგორც ელოდნენ ინგლისის და რუსეთის დიპლომატია. სპარსეთის ხალხი, ეტყობა აღარ ენდობა მამედ-ალი შაჰს, რომელმაც ორჯელ დიდის ამბით დაიფიცა ყურანზე, რომ წმიდად დაიცავდა ხალხის უფლებას, მაგრამ რა წამს ძალა იგრძნო, მაშინვე გატეხა თავისი ფიცი. მაინც, დიდი ყოჩაღობა უნდა, რომ კაცი წავიდეს მეჯლისის წევრად იმ თეირანში, სადაც ბრძანებლობენ მამედ-ალი-შაჰი და ივნისის კონტრრევოლიუციის გმირი, მეჯლისის გამანადგურებელი რუსის პოლკოვნიკი ლიახოვი.

საუბარი ლიახოვთან.

„ტაიმს“-ის თეირანელ კორესპონდენტს პოლკოვნიკ ლიახოვთან უსაუბრნია სპარსეთის საქმეებზე. ლიახოვს უთქვამს, რომ მას ჰყავს სულ 750 ყაზახი, რომელთაც შეუძლიანთ თეირანის დაცვა. ამას გარდა, შაჰს ჰყავს კიდევ 5 ათასი მუდმივი ჯარის კაცი და აქვს 6 ზარბაზანი.

ლიახოვი ირწმუნება თურმე, რომ ოლონდ მტერი მოულოდნელად ნუ მივა და მარტო ყაზახთა ბრიგადა მოიგერიებს ბახტიარებსა და რევოლიუციონერებს, გინდაც რომ ისინი ერთად მოვიდნენ იერიშით თეირანზეო. ეგაა შაჰს უბრძანებია, რევოლიუციონერების დასახვედრად ნუ მოემზადებით, რადგან ეხლა, კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ, ყველაფრის პასუხი რუსეთმა და ინგლისმა უნდა აგონო.

კორესპონდენტს უკითხავს რუსის აფიცრები შაჰის სამსახურში ირიცხებიან, თუ რუსეთისაში, მაგრამ ლიახოვს ამაზე სწორე პასუხი არ მიუცია. კორესპონდენტს სხვა წყაროებიდან შეუტყვია, რომ თუმცა რუსის აფიცრები რუსის ჯარის სიებში აღარ ირიცხებიან, მაგრამ ნამდვილად—ისინი ეხლაც რუსის მთავრობის კანტროლს ქვეშ იმყოფებიანო. ისინი ეხლაც ფეხს არ ჰდგამენ რუსეთის მთავრობის დაუკითხავად, რადგან ჯერ მათი ბედი გადაწყვეტილი არაა: ჯერ არ იციან რამდენ პენსიას დაუნიშნავენ ამ აფიცრებსო.

კავკასიულ რევოლიუციონერების დატუსაღება თავრიზში.

გენ. სნარსკის ბრძანება მოუვიდა რუსეთის მთავრობისაგან, კავკასიელ რევოლიუციონერების ორი მეთაური დაატუსაღეს თავრიზში. კავკასიელი რევოლიუციონერები ელიან, რომ მათ სახლებს გაუჩხრეკენ. თავრიზის მცხოვრებნი შეშინებულნი არიან. ქალაქის ქუჩებში რუსის ჯარის პატრულები დადიან ენჯუმენი არ ერევა ამ საქმეში—მას თითონაც უნდა რევოლიუციონერ მოქმედების მოსპობა; ზოგიერთ რევოლიუციონერს ფული მისცეს თავრიზიდან სხვაგან წასასვლელად.

რუსის ჯარისკაცების ქცევა თავრიზში.

რამდენიმე რუსის ჯარისკაცი შევიდა ბეიდ-ჰუსკან-ხანის ჰარამხანის ბაღში. ამ ამბავმა აყალ-მაყალი გამოიწვია. სპარსელებმა იჩივლეს კონსულთან. გენ. სნარსკიმ სასტიკად დაარიგა ჯარის-კაცები, მუსულმანთა სახლებში აღარ შეხვიდეთ და მათ ქალებს ხელი აღარ ახლოთო.

ახალგაზდა ოსმალები ეხმარებიან სპარსელ რევოლიუციონერებს.

პეტერბურგელ დიპლომატებს შეუტყვიათ, რომ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის აგენტები მივიდნენ სპარსეთში და დიდ როლს თამაშობენ რევოლიუციონერების თათბირებსა და კრებებზეო.

სტამბოლში სპარსელებმა დაარსეს ძლიერი და კარგად მოწყობილი კომიტეტი, სახელად „საადეთ“. ამ დღეებში „საადეთმა“ დარიგება გაგზავნა თავრიზსა და სპარსეთის ყველა პროვინციაში, თუ როგორ მოიქცეს ხალხი მომავალ არჩევნებში. ამბობენ, რომ ხალხი ყველგან ამ დარიგებას თანახმად მოახდენს არჩევანსაო. ამავე კომიტეტში გაგზავნა აგრეთვე მცოდნე პირები კონსტიტუციის დასაცველად.

„საადეთის“ კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტთან და მის დახმარებით მოქმედებს.

უმთავრესი რეაქციონერები სხვა ქვეყნებში მიდიან.

სპარსეთინ რეაქციის უმთავრესი სულის ჩამდგმელები ემირ-ბაგდურ-ჯენგი და მოლაშეიხ-ფეზლულა ჰყიდიან თავიანთ ქონებას და სახლებს და უცხოეთში მიდიან საცხოვრებლად. ამბობენ ემირ-ბაგადურს რუსეთში დაჰპირდნენ ადგილსა და უზრუნველყოფილ ცხოვრებასო, ხოლო შეიხ-ფეზლულა მეკაში აპირებს ცხოვრებას; ამის თაობაზე მან უკვე გაუგზავნა [illegible] ოსმალეთის მთავრობას (მეკა ოსმალეთის საქთელობელოშია).

სახელმწიფო საბჭოს მეცადინეობა.

სახელმწიფო საბჭო ბეჯითად თხოულობს მეჯლისის უფლების გაფართოვებას; მან ამის თაობაზე ბეჯითი მოლაპარაკება გამართა პროვინციალურ ენჯუმენებთან და იმ რაზმების უფროსებთან, რომლებიც თეირანზე მიდიან.

მოწყალილი ამბები

სამტრედია. ქ. წ. წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება უკვე შეუდგა მოქმედებას. კვირას, 26 აპრილს, მოახდინა პირველი კრება და იქონია მსჯელობა სხვა და სხვა საკითხებზე. 1. გამგეობის კრებებისთვის დანიშნა კვირაში ერი დღე, ორშაბათი; 2. იქონია მსჯელობა ადგილობრივ უფასო სამკითხველოს შესახებ და დადგინა: მიიღოს იგი ოვის გამგეობის ქვეშ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დ. სამტრედია, რომელიც ქაქმის ხარჯავდა ამ სამკითხველოზე 360 მ., ისე შემდეგშიაც გადასდებს ეოველ-წლიურად ამ თეულს; 3. გამგეობამ სასურველად სცნო გახეოფილების სასარგებლოდ გაიმართოს 31 მაისს სეირნობა და ლატარია-ადგილი. ამ საქმის მოსაწყობად გამგეობამ მოიწვია კერძეშე პირნი; 4. გამგეობამ დაბარაკი იქონია იმაზე, რომ შემოდებულ იქმნას სამტრედიაში ეოველ წლიურად იმნაირი გაჭრობა, რომელიც ტფილისში პირველად შარშან გამართა წ.-კ. საზოგადოებამ, ესე იგი მსურველი ვაჭრები ადნიშნულ დღის ნაკვეთიდან წმიდა შუმოსავლის განსასხვერულ პროტენტს გადასდებენ საზოგადოების სასარგებლოდ, ამ საქმის მოწყობა მიენდო ორ წევრს გამგეობისას, კარეშე პირების დახმარებით.

3 მაისს, მოხდა მეორე მორიგი კრება გამგეობისა, რომელზედაც მოიწვიეს კარეშეენიც. სეირნობა და ლატარია-ადგილის მოსაწყობად. დადგინეს: სეირნობა გაიმართოს, როგორც ზეეთაცა ვთქეი, 31 მაისს „ედემის“ ბაღში; ეხლავე გამოცხადდეს კაზეუებში, რომ ლატარია-ადგილისთვის მიიღება ეოველ გვარი შეწირულება—ნივთები თუ ფული; აირჩია სეირნობისა და ლატარია-ადგილის გამგედ ქ-ნი მ. გლადკოვისა. შეწირულებანი მიიღება: ქ-ნ მ. გლადკოვთან, ქ-ნ დ. მამეოვრიას ასულთან, ქ-ნ ნ. კორძაიასთან, ბ-ნი რაკდენ ნანეიშვილთან და ი. სიხარულიძესთან.

2 მაის რკინის გზის თეატრში გაიმართა წარმოდგენა ე. ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოდ. დადგა „სიმდიდრის მსხვერპლი“. და „მშვენიერ ელენეს მაძიებელი“. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა.

კრუხი.

სტრაცია შოპენჰაუერის პესსიმისტურ ფილოსოფიისა. როგორც მეტაფიზიკური ნების ყოფა, ერთადერთი, განუყოფელი საძირკველი ინდივიდუალურ და ფენომენალურ ყოფნისა, იტანჯება მუდმივის დაუკმაყოფილებელ წყურვილით, როგორც იგი მუდმივ სცდილობს თავის საზღვრებიდან გამოსვლას, მაგრამ თავის საზღვრებს ვერა ხედავს, ილტვის, მაგრამ ვერა სძლებს თავის სურვილის დაკმაყოფილებას, ეძიებს, მაგრამ სავალალოდ ყოველგან თავისავე თავს პოულობს, სწორედ იმიტომ რომ მხოლოდ თვითონ ისაა ერთად-ერთი „ნამდვილი სინამდვილე“, ყოველივე კი, რაც იმის გარეშე არსებობს არის მოვლენა, აჩრდილი, მაიას ზეწარი,—ისე ბარათაშვილის მხედარი, ეს უსახელო ტრაგიკული მე დრტვინავს და ღელავს, ჰკვეთს ქარს, აპობს წყალს, მიჰქრის უმიზნოდ, იტანჯება უმიზეზოდ და ამაოდ ლამობს გაექცეს თავის ბედისწერას, რომელიც ყორანივით მუდამ უკან მისჩხავის, გადაიაროს მისი საზღვარი, რომელიც ისევე გარდაუვალი და აბსოლუტურია, როგორც თვით მეს საზღვრები: ესაა ბრძოლა მესი თავის თავთან, თავის საბედისწერო საზღვრებთან, ტრაგიკული კონფლიქტი, რომლის ახსნა ან დაცხრობა ყოველად შეუძლებელია.

ეს კონფლიქტი შეუძლებელი იქმნებოდა, ადამიანის ინდივიდუალურ ყოფნის და მოქმედების მიზანი მხოლოდ ბედნიერება ან წყნარი, ფილისტერული კმაყოფილება რომ ყოფილაყო. ფრთების შეკვეცა, უზენაეს აღმაფრენის ჩახშობა, შეჩერება და გულში ჩაკვლა უსარგებლო მისწრაფებათა აბსოლუტიურ ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისადმი, დაკმაყოფილება იმ ვიწრო ფარგალით, რომელიც აუცილებელს ბედისწერას მიუჩენია თვითეულ მომაკვდავისთვის, შერიგება იმ აზრთან, რომ მას ვერავინ გადავლის,—უფრო ადრე მიანიშებდა ადამიანს ბედნიერებას, ვიდრე მოუსვენარი ლტოლვა უსაზღვრობისა და უკვდავებისაკენ. „დაჰყავით მარადისობა უჯრედებად, უცქირეთ მას საპურობილის სარკმლიდან, შეიგენით, რომ ყოველი ცდა იქიდან თავის დაღწევისა ამაო და ფუჭია და თქვენ მოიპოვებთ სულიერს სიმშვიდეს, ამ ქვეყნიურ ბედნიერების სარწმუნო თავმდებს!“ ესაა ევდემონიურ გონივრობის ძირითადი სიბრძნე. ბევრი მხარე ადამიანის ადამიანობისა, ბევრი რამ, რითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი კულტურა, შეუძლებელი გახდებოდა, ჩვენს არსებობას და მოქმედებას რომ მართლაც ეს სიბრძნე დასდებოდა საძირკვლად: უწინარეს ყოვლისა კი შეუძლებელი იქნებოდა შემეცნების განვითარება!

მე მგონია, ეხლა არავისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს ის გარემოება, რომ შემეცნებას ბედნიერება არ მოაქვს. პიროვნების გაფართოვება, ინტელექტუალურ წყურვილის დაკმაყოფილება, ადამიანის ბატონობის სფერის გადიდება, ბუნების დაპყრობა, მატერიალურ კეთილდღეობის გაძლიერება, თუ გინდათ, კიდევ სხვა, ძლიერ ბევრი სხვა სიკეთე და ღირებულება, ყოველს შემთხვევაში არა ბედნიერება. რა სიამოვნებით გამოვეთხოვებოდით ბევრს ჩვენს ჭეშმარიტებას, რომელიც ხშირად მწარე და ულმობელი ირონიაა ადამიანის უნაზესს და უდიადესს მისწრაფებაზე. თითქო ჩვენში არსებობდეს რაღაც ეძლეველი ნების ლტოვა ჭეშმარიტებისადმი, ჩვენ საესელ ყმაწვილივით უშიშრად ფარდას ვხდით ბუნების და სულიერ ცხოვრების უსაზარელესს საიდუმლოებებს, ხშირად ვძრწით საშინელ სანახაობის წინაშე, მაგრამ უკან კი არ ვიხევთ, სანამ ცნობიერების წყურვილს არ ვიკლავთ. მაგრამ უფრო დიდი უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ წყურვილის მოკვლა ყოვლად შეუძლებელია: ბაირონმა თავის „კაენში“ და გოეტემ „ფაუსტში“ გასაოცარის ხელოვნებით დაგვიხატეს აბსოლუტურ ჭეშმარიტების მაძიებელ სულის ტრაგედია, მუდმივი დისჰარმონია სურვილსა და შესაძლებლობასა, იდეალსა და არსებულ მდგომარეობას შორის, აუტანლობა ზოგიერთ ჭეშმარიტებისა, რომლის ცოდნა უფრო გამაუბედურებელია, ვიდრე საკეთილდღეო.

შემეცნებაში, განსაკუთრებით საბუნების-მეტყველო ცოდნაში, არის ერთი მომენტი, რომელიც ამ ტრაგედიას ყველაზე უფრო აახლოვებს თვითეულს ჩვენგანთან და ადამიანურად გასაგებად ხდის მას იმისთვისაც კი, ვისთვისაც ეს აბსოლუტური მისწრაფეაა ჭეშმარიტებისადმი და მისაგან გამომდინარე ტანჯა უცხო და გაუგებარია: და სწორედ ეს მხარე გვამცნო ბარათაშვილმა თავის „სულო ბოროტო“-ში და „ფიქრში მტკვრის პირად“. მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი არაა ისეთი ნაწარმოები, რომელშიაც მთელი კაცობრიობის დამახასიათებელი სულიერი დრამა ისეთის მართლაც და გენიოსური სიძლიერით გამოთქმულიყოს, როგორც ამ ორს პატარა ლექსში. ეს ტიპიური დრამა მართლაც ყმაწვილურ ოქროსფერ იმედებით, წრფელის ნდობით და სასოებით იწყება: ჩვენ მოხიბლულნი და მოჯადოებულნი შევდივართ ცნობიერების ტაძარში, რომლის შესავალს მართლაც თავისუფლების ემბლემა აცისკროვნებს: პირველს საფეხურებზე ჩვენ კიდევ ვოცნებობთ ბედნიერებაზე და სულის მშვიდობაზე, რომელსაც ახალი გზა გვიქადის; მხოლოდ შემდეგ, როცა კარგა შორსა ვართ წასული და უკან დაბრუნება აღარ შეგვიძლიან, ვამჩნევთ, რომ ჩვენი წინამძღვარი „ბოროტი სულია“ გონების აღმაშფოთარი, წრფელ ზრახვათა აღმრევი; აქ ვხედავთ, რომ უდიდესი საიდუმლოებანი, რომლის ცნობას შეეძლო მოეკლა ჩვენი წყურვილი, დაეკმაყოფილებინა ჩვენი შეუჩერებელი ლტოლვა, სამუდამოდ დაფარულია მომაკვდავისთვის, რომ, პირიქით, ის, რაც ცხადი და სახელდახელოა, ძირს უთხრის ჩვენს ყმაწვილობის სარწმუნოებას და მაშასადამე, სამუდამოდ აუბედურებს და აობლებს სულს.

ყველაზე საშინელი და აუტანელი მთელს ამ ტრაგედიაში არის, რასაკვირველია, არა მამაპაპურ ტრადიციების, შეჩვეულ სარწმუნოებრივ ცნებების და დოგმატების დაკარგვა: ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლება მართლაც ერთი უბედნიერესი და უკეთილშობილესი მომენტი იქნებოდა ჩვენს ინტელექტუალურს განვითარებაში მას რომ საბედისწერო აუცილებლობით მეორე არ მოსდევდეს. და სწორედ ეს მეორე ნაბიჯი, ხშირად ჩვენი კეთილი ნებისყოფის და სურვილის წინააღმდეგ გადადგმული, გამანადგურებელს გავლენას აჩენს ჩვენს ზნეობრივს თვითშემეცნებას: იგი სპობს **რწმენას უდიადესს და უმშვენიერესს ღირებულებათა შენახვაში,** ყველ ისტორიულად აღმოცენებული სარწმუნოების დედა-აზრს და საძირკველს. ისე როგორც პოპულიარულ შეგნებისთვის უძვირფასესი მომენტი სარწმუნოებაში სულიერ უკვდავების რწმენაა, ინტელიგენტურ შეგნებისთვის იმავე სარწმუნოებაში უაღრესი და უსაჭიროესი მომენტი არის რწმენა იმ უდიდეს ზნეობრივ, მეცნიერულ და ესთეტიურ ღირებულებების შენახვისა, რომელთა შესაქმნელად ამდენი კულტურული შრომა და სიცოცხლეა შეწირული. ის პიროვნება, რომელსაც ადამიანურ კულტურის ფასი დაახლოვებით მაინც ესმის, ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ სულიერ შემოქმედების უძლიერესს, უმშვენიერესს და უნაზესს ქმნილებებს ერთს დროს ბოლო უნდა მოუღოს ბუაზრო და მოუხეშავ ბუნების მსვლელობამ. რა აზრი აქვს თვით ჩვენს ზნეობრივ ცხოვრების უუდიდეს წუთებს, უუკეთილშობილეს მოქმედებებს, თუ სუსტ ადამიანს არ ძალუძს, ხოლო უზენაესი არსება არსად არის, რომელიც შეუნახავდა მას უკვდავებას და მარადისობას?

> მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
> მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

ამ საშინელს ჭეშმარიტებას კი, რომ „ერთხელ სოფელსაც ბოლო ეღნდა მოეღოს“, კარგა ხანია ფარდა აჰხადა საბუნების-მეტყველო შემეცნებამ. ერთი თანამედროვე მეცნიერი ამბობს: „ჩვენი პლანეტების სისტემის ენერგია დასცხრება, მზის სიდიადე ჩაქრება და დაბნელდება, და დროთა ბრუნვას და მოძრაობას მოკლებული დედამიწა ვეღარ შესძლებს ატაროს თავის ზურგზე ადამიანთა ტომი, რომელმაც ერთს წამით მისი მარტოობა დაარღვია. ადამიანი ჩაიღუპება ჯურღმულში და თან წაიღებს თავის აზრებს და გრძნობებს. მოუ ვენარი ცნობიერება, რომელმაც მცირე ჟამით შეიჩერა სამყაროს კმაყოფილი მდუმარება, მოისვენებს და დაყუჩდება. მატერია დაჰკარგავს თავისავე თავის შეგნებას. „წარუვალნი ძეგლნი“, „უკვდავნი მოქმედებანი“, თვით სიკვდილი და სიყვარული, რომელიც კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი, იქნებიან ისე, თითქო არასოდეს არ ყოფილან. - და ყველა იმას, რაც ადამიანმა უთვალავ თაობათა განმავლობაში შექმნა თავის შრომით, თავის გენიოსობით, თავის ლოცვით და თავის ტანჯვით, არ შეეძლება შესცვლოს, გააუჯობესოს ან გაუარესოს ის, რაც მაშინ იქნება“.

გერონტი ქიქოძე.

(შემდეგი იქნება)

სასამართლო

სოლომონ აშორდიას საქმენი-საგმირონი ციმბირში.

(წერილი ციმბირიდან)

ქალაქ ომსკში 6 აპრილს გაირჩა პირველი საქმე საქართველოში კარგად ცნობილ სოლომონ აშორდიასი და ავრეთვე მელიტონ გეგელიასი.

საქმის გარჩევას აუარებელი ხალხი დაესწრო. ტევა აღარ იქნებოდა დარბაზში, წინა დღეს რომ გაზეთებში დაბეჭდილიყო, თუ რა საქმე ირჩეოდა. საქმე ეხებოდა ქალაქ ომსკში ციმბირის ბანკის განყოფილებიდან ყალბის საბუთებით 20,000 მანეთის გატანას.

საბრალმდებლო ოქმი ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

1906 წელს, აპრილის თვეში, ქალ. ომსკში, ციმბირის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში შესულა ზახაროვის გვარით ვიღაც უცნობი, წარუდგენია ოცი ათას მანეთის მისაღებად უტყუარი საბუთები და მოუთხოვნია ფული. ზახაროვი ვაჭარია ხაბაროვსკში და იქიდან გადმოგზავნილი ჰქონდა ეს ფული ომსკში მისაღებად. აღმოჩნდა, რომ ბანკის განყოფილების გამგე ხაბაროვკაში კარგა ხანს ყოფილა და ბევრი ნაცნობიც ჰყოლიო. რომ არ მოტყუებულიყო, გამგეს ფულის მისაღებად მისულ ვითომდა ზახაროვისთვის ბევრი რამ უკითხავს ხაბაროვკელ ნაცნობებზე და სწორე და ნამდვილი პასუხი მიუღია. მერე ამდგარა და ოცი ათასი მანეთი გადაუცია.

ზახაროვი იმ დღესვე გამგზავრებულა ომსკიდან რუსეთისაკენ და ახლა ქალ. ჩელიაბინსკის ბანკში მისულა ამ გვარადვე ფულის მისაღებად. მაგრამ იქ ბედს უმტყუნია და ცარიელ-ტარიელს ძლივს დაუხწევია თავი ხათაბალისთვის. გამოცდილი და წინად მოტყუებული აქაურ ბანკის განყოფილების გამგე არ ენდო თურმე ზახაროვს და შესდგომია საქმის გამოკვლევას. ზახაროვს შეუნიშნავს თუ არა ეს, დაუკრავს ფეხი და ქალაქ უფისკენ გაქანებულა. მაგრამ გამგეს დეპეშადეპეშაზე უფრენია და როდესაც ზახაროვი უფის ბანკშიაც მისულა მოტყუებით ფულის გამოსატანად, უტაცნიათ ხელი და გაუბაწრავთ. უფაში ზახაროვთან შეუპყრიათ მელიტონ გეგელიაც. ორივენი ერთ დროს მისულან უფაში და ერთად ჩამომხტარან სასტუმროში.

ზახაროვი და გეგელია ცალ-ცალკე გაუჩხრეკიათ. მათ დიდძალი ფული აღმოსჩენიათ. ზახაროვს წაართვეს თურმე 11,921 მანეთი და 5 კ., ხოლო გეგელიას 7,957 მან. (ოცი ათასი მანეთი—111 მან. და 95 კ. ნაკლები). ამ ფულში აღმოჩენილა ხუთას და ას მანეთიანი ქაღალდის ფული სწორედ ის, რომელიც ომსკის ბანკიდან იყო წაღებული.

აი ამ საქმის გამო მისცეს სამართალში აშორდია და გეგელია.

გამოძიების დროს ზახაროვი გამომტყდარა, რომ მან ყალბის ქაღალდებით გაიტანა ფული. გეგელიაზე უთქვამს, მას ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და წინად არცკი ვიცნობდი გეგელიასაო. გეგელია გავიცანი გზაზე ჩელიაბინსკიდან უფამდის. უფაში ვთხოვე ერთი დღე მოეცადა ღა შემდეგ ერთად გავმგზავრებულიყავითო. გეგელიას კიდევ მოწმებით დაუმტკიცებია, რომ ართმეული ფული მისი საკუთრება იყო. ეს ფული მას მოუგია ვაჭრობით მანჯურიაში, ომიანობის დროს.

ჯერ გამოძიება დამთავრებული არა ყოფილა, რომ ომსკის საპყრობილის უფროსს მოწერილობა მიუღია ადგილობრივ გამოძიებლისა და პოლიციმეისტრისაგან. სწერდნენ—ზახაროვი ფულის თავმდებობით ეხლავე გაანთავისუფლეთო. ზახაროვი დაუყოვნებლივ გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ მალე აღმოჩენილა, რომ ეს ორივე მოწერილობა ყალბი ყოფილა. ზახაროვი კვლავ შეუპყრიათ. იგი გამოტეხილა, ყალბი მოწერილობებიც მე გავაკეთეო.

გამოძიებას გამოურკვევია ავრეთვე, რომ ზახაროვი მართლა ზახაროვი არა ყოფილა. იგი გამოდგა ქუთაისის გუბერნიაში ყალბ თავად-აზნაურობის საბუთების დამზადებაში განთქმული და შემდეგ არა ნაკლებ განთქმული ციმბირის ბანკებიდან ყალბის საბუთებით ფულის გამოტანაში სოლომონ აშორდია.

ყველა ამასთან ერთი რამ საყურადღებო კიდევ არის ამ საქმეში. ზახაროვ-აშორდიას გაქცევის და შებყრობის შემდეგ ასეთი წერილი გაუგზავნია ბანკისთვის: „8000 მანეთი, რომელიც გეგელიას აღმოაჩნდა შეადგენს იმ ფულის ნაწილს, რომელიც მე გამოვიტანე ომსკის ბანკიდან ყალბი საბუთებით. ეს ფული ნუ დაეკარგება ბანკს. გეგელიას მიბარებული ჰქონდა ჩემგან ეს ფული. იგი ჩემი მზარეულია და მუდამ თან დამყავდა. მეყოფა რაც მე ჩემის გულკეთილობით დამემართა. ბევრი გავამდიდრე, ბევრი დავაყენე ფეხზე და დღეს ბედნიერია, მაგრამ არავინ მიმადლის. ნაცვლად მადლობისა მღალატობენ და აღარ მინდობენ. ამის გამო არ მინდა რვა ათასი მანეთი კიდევ დამეკარგოს“ „სასამართლოში აშორდიამ წერილი სულ სხვანაირად დაახასიათა. განაცხადა: ეს წერილი, გამოწვეულია გეგელიასადმი მტრობით. გეგელიას ვემდური გაყიდულ ნივთების ფასის მითვისებისა გამო. გეგელია სატუსაღოში რომ დიპიერეს, ჩემი ბარგი ჰქონდა და როდესაც ივი თავმდებობით გაანთავისუფლეს, ბარგი დაუბრუნეს. მან ჯჰყიდა ნივთები და ფულით თითონ ისარგებლაო. ამით გაბრაზებულმა დავწერე ის წერილიო.

შემდეგ აშორდიამ სთქვა: „მე მქონდა დამზადებული ყალბი საბუთები 160,000 მანეთზე. ეს ფული ომსკიდან დაწყებული კურსკამტის, რაც ბანკების განყოფილებაა, ყველგან უნდა ამეღო, ამ საქმეში მონაწილე არავინა მყავდაო“.

სასამართლოში აშორდიას ძლიერ თამამად ეჭირა თავი. ლაპარაკობდა მშვენივრად, კარგის რუსულის კილოთი. ადგილობრივი გაზეთი „ომსკი ტელეგრაფი“ (№ № 65 და 75) სწერდა: „აშორდია 34 კაცია, არა მაღალის ტანისა, გარეგნობა ლამაზი და ინტელიგენტური აქვსო“.

როდესაც თავმჯდომარემ ჰკითხა: რა მოხელე ხართ და სცნობ თუ არა თავს დამნაშავედაო, აშორდიამ მიუგო: ორივე საქმეში სწორედ მე ვარ დამნაშავე; ამასთან ჩემი ხელობა ყალბი საბუთის ქაღალდების დამზადებაა.

სასამართლომ სოლომონ აშორდია დამნაშავედ იცნო, როგორც ბანკიდან ფულის გატანაში, ისე საპყრობილიდან გაქცევაში. მიუსაჯა ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და 2 წლ. წლით ტუსაღთა როტაში გაგზავნა.

გეგელია სასამართლომ გაამართლა და გაანთავისუფლა. სასამართლომ დაადგინა, დაუბრუნდეს მას გამორთმეული 7,957 მანეთი.

8077 მანეთი ბანკის სასარგებლოდ დაედო აშორდიას და ამ ფულის გასასტუმრებლად უნდა გაყიდულ იქმნას ოქროს სათუთუნე და ოქროს საათი თავის ჯაჭვით. ეს ნივთები აშორდიას დაპატიმრების დროს ჩამოართვეს.

ამნაირად დაბოლოვდა ციმბირში პირველი საქმე სოლომონ აშორდიასი, მაგრამ როგორ და როდის დაბოლოვდება მსგავსი მისი საქმეები, ალაჰმა უწყის. როგორც თითონ აშორდიამ განაცხადა, ცხრა სხვა ასეთი საქმე ყოფილა აღძრული აშორდიას წინააღმდეგ. ეს საქმენი-საგმირონი აშორდიას ციმბირსა და რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიაში ჩაუდენია.

ფ. ბ.

რაჭა-ლეჩხუმლეგის საუურადღებოდ

იმ ჯუთხის მცხოვრებლებს, რომელნიც სოფ. ჭრებალდის (იგივე ტოდის სოფოსტა სადგური) კარშემო სცხოვრობენ ძღვის ელირსათ დიდი ხნის ნატვრის ასრულება.

სათანადო მთავრობამ წარსულ ამრიდში ნება დართო დაარსდეს **ფოსტა-ტელეგრაფის** განყოფილება სოფ. ჭრებალდის. განყოფილება უნდა კაისსას ამ წლის ოთხთვესა ან მეოთხეში. ეს საქმე ჩვენისა სეზოკადოებამ მე მომანდო, როგორც **მეზობელს** განსახორციელებლად ჯერ ისევ 1904 წელს; მაგრამ ადსრულება შეფერხდა ჯერ იაპონიის ომის გამო, მერე კი, დიდის მოძრაობის დროს, ვისა სცალოდა ამისათვის.

ახლა კი როდესაც მთავრობისაგან ნება-რთვა მოგვივიდა, ვალად გვედება განყოფილების დაარსების საქმე ბოდიშმდე მივიუგანოთ. ამ ჟამად საჭიროა 570 მანეთი ხაზინაში შესატანად. შეგროვდა ჯერ-ჯერობით 141 მან., რომელიც ხელთა მაქვს. ჩვენ მივმართავთ უფლა იმ ბრს, რომელიც დინტერესებულია ამ საქმით, და მთ ვინც დროზე ადგეთქვა ფულის შემოტანა, არ დაიშურონ თავიანთი წვლილი, გამოგვიგზავნონ წარსადგენად ამ ადრესით: Тифлисъ, Ольгинская, 4 Присяжному повѣренному Григорію Діасамидзе.

სია შემომწირველთა გამოცხადებული იქნება გაზეთებში მაშინთვე და ასზოგადო ანგარიშიც.

აღნიშნული 141 მანეთი შესდგა ამ ნაირად. 100 მანეთი თავის დროზე მე წარვადგინე განსვენებულ ჩემი მეუღლის სახელით, რომელსაც თავდაბრველადვე ეკუთვნოდა თოთხნობა ამ საქმეში, 41 მანეთიც წარმოშიდგინეს ვასილ ცხვირავაშვილმა და მეთოდე მოწონელიძემ. ეს ფული ასე შემდგარა: თითო მანეთობით შემოუწირავს 21 კაცს: ვასილ კენწაძეს, თედორე და როსტომ კაკოშიძეებს, სპირიდონ, ეგბენ, გერმან, სარდიონ, დარისპან ვაწაძეებს, გიორგი, სიმონ, ნესტორ მოწონელიძეებს, გიორგი ზაქარია, კოსტა, სარიდონ ჭოლიძეებს, ფლადიმერ ჯერესლიძეს, ბერასიმე სოხაძეს, ზურაბ ფრუიძეს, დავლასტი ჯეგლიანს, ანტონ ჭოხონელიძეს და შინა ჯერესლიძეს. 1 მ. 50 კ.-ობით შემოუწირავს 6 კაცს: ვასილ ვაწაძეს, მეთოდე მოწონელიძეს, ბარნაბა შეტონისძეს, ექვთიმე შავდაძეს, დავით დვალს, გიორგი ჩგვენცაძეს 2 მანთობით—4 კაცს: კოდა ბენდელიძეს, ერმილე ჯერესლიძეს, ნიკო და ვასილ სოხაძეებს 3 მანთიც შემოუწირავს მიხეილ გვენცაძეს.

გრიგოლ დიასამიძე.

რუსეთი

✦ სახელმწიფო განცხადებები.

«სტოლიბ. მოლვ.»-ს სიტყვით, „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს რედაქტორი ლევ ტიხომირეოვი სახელმწიფო განცხადებისათვის თვეში 10,000 მანეთს იღებს, ე. ი. წელიწადში 120,000 მანეთს. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო სათათბირო მოითხოვს სახელმწიფო განცხადების მოსპობას, მთავრობა ვალდებულია ტიხომირეოვს ერთდროულად 50.000 მანეთი მისცეს.

✦ შიმშილი თათრებში. აი რასა სწერს გაზეთ „სარატოვს. ლისტ.“-ის კორესპონდენტი სარატოვის გუბერნიის თათრებზე: „წავედი თათრების სოფლების დასათვალიერებლად. შევედი ერთ სოფელში. ამ სოფელში დავათვალიერე 25 სახლამდე. სახლები სულ ცარიელია, ამას გარდა ძიგ სამინლად ციგა. სახლში ვერავითარ აგეჯანელობას ვერა ნახავთ, რაც კი რამ ჭიქონიათ სულ გაუყიდიათ, რომ როგორმე თავი შეენახათ. თითქმის ყველა სახლებში ბავშვები ტიტვლები დამხვდნენ. ერთ სახლში შევედი ხუთათი ვნახე: სახლის კუნჭულში 6-მდე ბავშვი ატუსულიყო და რადაც ტყავს ღეჭავდა, სახლები ჩაყვითლებოდათ. სულ ტიტვლები იყვნენ, სახლში სრული სიცარიელე იყო, არავითარი ნივთი, ეკვიანებოდათ ყველანი ამოყვითილნ, მოზრდილები თაკ-ჩაქინდრებულები ისხდნენ და ჩემ შესვლას ყურადღებაც კი არ მიაქციეს. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ სახლი უმალ მივატოვე და სხვა სახლებისაკენ გავწიე, მაგრამ აქაც ისევ ის უბედურება, ისევ საშარისებური სიჩუმე... ამოხსნა მეგზურმა ამი ძალი სოფლებია და შვილა კი არსად არის...“

✦ პეტერბურგის უნივერსიტეტი 1908 წელს. „სლოვე“-ს სიტყვით 1908 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფილა 8,013 სტუდენტი (1907 წელს 9720 სტუდენტი) და 222 თავისუფალი მსმენელი (1907 წელს 734). აქედან იურიდიულ ფაკულტეტზე 4425, საბუნების-მეტყველზე 1653, ფიზიკო-მათემატიკურზე—1,160. ფილოლოგიურზე—545 და აღმოსავლეთის ენებზე—180. სტუდენტები წოდების მიხედვით შემდეგათ იყოფებოდნენ: აზნაურების და მოხელეების შვილები—4,629, მღვდლებისა—401. ვაჭრების და მეშჩანების—2,379, გლეხებისა—730 სტუდენტი. სარწმუნოების მხრივ: მართლმადიდებელნი—5,682, კათოლიკეები, ლიუტერანები და სხვები—2,177, და სხვა.

✦ სრულიად რუსეთის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ კრება. „პეტერბ. მისლის“ სიტყვით ბოლო ხანებში სრულიად რუსეთის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წარმომადგენლების კრება. კრებას დაესწრებიან „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები. კრებაზე განიხილავენ მესამე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის საკითხს. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ლიდერების აზრით მესამე სათათბიროს კრამოლნიკეურია და მთავრობამ იგი ეხდა დაითხოვოს. სათათბიროს აღარ მოიწვევენ. თუ საქმე გაჭირდა, უნდა მოიწვიონ დროებითი საეროებო კრება.

✦ კურლოვს ახალ თანამდებობას აძლევენ. „ბაქაზ“ სიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ეენერალ ლეერლოვს ნიშნავენ მინაგან საქმეთა მინისტრათ.

✦ ლოპუხინის საქმე. „კასპს“ პეტერბურგიდან დემემით ატყობინებენ. ლოპუხინის საკასაციო საჩივარი მაისის ბოლო რიგწყვებში გაირჩევა. საკასაციო საჩივრის გარჩევას დაესწრება 55 სენატორი.

წერილი რედაქციის მიმართ.

საინტერესოა ვიცოდეთ, თავ. დ. ჩოლოყაშვილი ქართველ საზოგადოებას რად მიმართავს რუსულ ენაზე? ნუ თუ ქიზიყის მარშალმა იქამდის არ იცის ქართული ენა, რომ ქართველს საზოგადოებას კახეთის რკინის გზის მდგომარეოსა ქართულ გაზეთის საშუალებით აუხსნას?

ნუ თუ საძრახისი არ არის ქართველი მარშლისთვის, რომ თავის ამომრჩევლებს სხვა ენაზე მიმართავს და განკარგულებას აძლევს ქართულ გაზეთებს, მისი წერილი ქართულად გადათარგმნონ.

ქიზიყელი.

ჭიათურელ კორესპონდენტს ბ-ნ გ. დაუნდობელს.

რადგან თქვენ სცდილობთ ქართულს გაზეთებში, თუმცა გადაგვრით, ჩემს საწელს ჩირქი მოსხვლოთ, ამიტომ, გიწვევთ სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრივ მედიატორად ვასახელებ ივანე ბოდელაურს. გთხოვთ თქვენც, ერთი კვირის განმავლობაში დაასახელოთ თქვენი მედიატორე. მედიატორეთა გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ქართულ გაზეთებში.

ნიკოლოზ გიბრიელის ძე ოთბმეზურა.

!!! ავადმყოფთა საყურადღებოდ !!!

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა ფირმა ნაწილობრივ ასახელებს, ნაჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

СПЕРМИНЪ ПЕЛЯ
ПРОФ. ДОКТОРА
SPERMINUM POEH

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია პროფესორ დოქტორის პელის **და შვილების ორგანოთერაპევტიულ ინსტიტუტის** მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთელ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმია მრავალი მეცნიერული გამოკვლევა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია **ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის** (ციმბინის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), **არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.**

ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.

სპერმინ-პელისა იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ საფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia Spermini-Poehl) 1 ფლაკონი—3 მ., ავრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასრულებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

ეფასოდ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Сперминa-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, ავრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ“ (მეფრე გამოდგმა), სადაც აღნიშნულია პროფესორ დ—რ პელის სხვა ორგანოთერაპარატები. ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ორგანოთერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბარატორია და აფთიაქი
პროფ. ორ დოქტორ პელის და შვილებისა
პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი სარუკარი (Grands Prix) ყველა მსოფლიო გამოფენ ზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(4—მეტ —3) 57670.—Л. и Э. Метцль и Ко.

გასასყიდი მიწა

ხიმშიაშვილისა და დიასამიძის მამულში **საგაბაშვილოში** საბურთალოს მახლობლად იყიდება ნაკრებად მიწა 25 კაპ. 1 მანეთამდე ოთხკ. საჟერთი წლის გადახდის ვადით.

იკითხეთ: სასახლის ქუჩა, თავადაზნაურთა ქარვასლა, № 153.

(3—231—1)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ეოგელ დღე, კვირეების გარდა
დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარცინოვსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს ეფასოდ. გეზხულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
შედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. —1—81)

ამხ. „სოლაპანის“ გამოცემა
ქართველი და უცხოელი მწერლები
„ახალი წიგნი“

„სცენები. ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, რომანსები და დრამატიული ნაწარმოებნი ნაუკეთესნი მწერლებისა“.

მიიღება ხელის მოწერა ტფილისში: წიგნის მაღაზია წერა კითხვის სახოგადოებისა, „რეჩის“ კიოსკაძისა სასაზინო თეატრის პირდაპირ. „ალიონისა“ კიოსკი ქუჩაზე. პროვინციაში კი ყველა ფოსტიების გამყიდველ აგენტთან.

ხელის მოწერა დაიწყება 30 აპრილს და გათავდება 20 მაისს —შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. **ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება (200 გვ.) 25 კაპ.** წიგნი კეთდება ასახაყიდად არ გამოვა. გამოწერა წიგნისა შეიძლება მარტივითაც. გაგზავნისა ეღირება 3 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ“, М. Гачечиладзе.

დაბეჭდილი წიგნი დაურიგდება ხელის მომწერთ 20 ივნის.

(10—5.—5)

გაფრთ ხილეგა
დ. ზ. სარა ჯიოვილისა
ЭЛЕКТРИЧЕСКАЯ МАРКА
კანტორა ტფილისში.

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის ს. ხელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პატიანი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიოვილი,** ხოლო ფრჩილს, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“,** და საქართველო მარკას **„ჯიხვი ქლდეზე“.** (20—234—3)

დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წინის მაღაზიაში
ახალი არსენას ლექსი.

ეს გამოცემა შეესებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწერილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.

წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხ ფერით, წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდველებს %-ს მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სოლაპანი“, (10—5.—10)

1897 წ.

პროვოდნიკის



1908 წ.

1888

ამხანაგობა
რიგაში
საფოსტო-საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ცალოგით: ●

რეზინის სამკიკაუზო შინები,

პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),

პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,

მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.

„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

ცალობით ვაჭრობა დიდა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.